

„საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის“
შენიშვნები და რეკომენდაციები სისხლის სამართლის კოდექსში
განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით



შენიშვნები და რეკომენდაციები მომზადებულია პროექტ „ადამიანის უფლებათა სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი მართლმსაჯულების სისტემის გაუმჯობესებისათვის“ ფარგლებში, რომელსაც „საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა“ „ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს“ დაფინანსებით ახორციელებს.

2014 წელი

სისხლის სამართლის კანონის უკუძალა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების და დამატებების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტი არ ითვალისწინებს სსკ-ის მე-3 მუხლში ცვლილების განხორციელებას. მიუხედავად აღნიშნულისა ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია მოქმედი ნორმის კორექტირება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლი აწესრიგებს სისხლის სამართალში კანონის უკუძალის საკითხს. კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: „სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.“

უკუძალის საკითხს პასუხისმგებლობით სამართალში ზოგად სტანდარტებს უწესებს საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი, რომლის მეორე წინადადების თანახმად: „კანონს, თუ ის არ ამსუბუქებს ან არ აუქმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“

მიგვაჩნია, რომ სისხლის სამართლის კოდექსის მოქმედი რედაქცია ავიწროვებს კანონის უკუძალის აკრძალვის (ან დასაშვებობის) კონსტიტუციურ ფარგლებს და მას ნაცვლად „პასუხისმგებლობისა“ მხოლოდ „სასჯელზე“ ავრცელებს. მართალია სისხლის სამართალში „სასჯელი“ პასუხისმგებლობის სახეს წარმოადგენს, მაგრამ „სასჯელის“ კოდექსისეული დეფინიცია მის მიღმა ტოვებს პირობითი მსჯავრის გამოყენების საკითხებს, რაც ცალსახად პასუხისმგებლობის ზომია, თუმცა არა სასჯელი.

აღნიშნული საკითხის პრობლემურობა ასევე თავს იჩენს დანაშაულთა ხანდაზმულობის ვადებთან მიმართებითაც. აღნიშნულ საკითხთა პრობლემურობა თვალნათლად გამოიკვეთა საკონსტიტუციო სასამართლოში განხილულ საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

მიგვაჩნია, რომ სსკ-ის მე-3 მუხლის პირველ ნაწილში ჩვენს მიერ რეკომენდირებული სახით ცვლილების განხორციელება, აღმოფხვრის არსებულ უზუსტობას, ხსენებულ ნორმას მოაქცევს კონსტიტუციურ ფარგლებში, რაც ამავედროულად სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის კუთხით მნიშვნელოვან ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს.

სარეკომენდაციო ფორმულირება:

„სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს პასუხისმგებლობას, აქვს უკუძალა. სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს.“

არაერთგზისი დანაშაული

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის მე-15 მუხლის ცვლილებას.

მე-15 მუხლის დღევანდელი რედაქცია განსაზღვრავს დანაშაულთა სიმრავლის ერთ-ერთი სახის, არაერთგზისი დანაშაულის დეფინიციას. ხსენებული ნორმის თანახმად: „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევ პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას.“

პროექტით გათვალისწინებული ცვლილებით უქმდება დანაშაულთა არაერთგზისად დაკვალიფიცირების წინაპირობა „ნასამართლობა“ და არაერთგზისად ჩაითვლება პირის მიერ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი დანაშაულის ჩადენა.

ხსენებული ცვლილება შესაძლებელია შეფასდეს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული სისხლის სამართლის პოლიტიკის ლიბერალიზაციის მიზნით წინგადადგმულ ნაბიჯად, რადგან ნორმის მოქმედი რედაქცია კონკრეტულ შემთხვევებში მნიშვნელოვნად ამძიმებს პირის პასუხისმგებლობას.

წარმოდგენილი ცვლილების პარალელურად ხარვეზს შეიცავს ამავე მუხლის მე-2 ნაწილის ურთიერთმიმართება ახალ რეგულაციასთან. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ პირველი ნაწილში განსახორციელებელი ცვლილებით დანაშაულის არაერთგზისად დაკვალიფიცირების წინაპირობად „ნასამართლობა“ უქმდება. ამავე მუხლის მე-2 ნაწილი რჩება უცვლელი და აზუსტებს, თუ როდის არ ჩაითვლება დანაშაული არაერთგზისად: „...ანდა თუ მას წინათ ჩადენილი დანაშაულისათვის **ნასამართლობა** მოხსნილი ან გაქარწყლებული ჰქონდა.“

განსახილველი მუხლის პირველ ნაწილში შესატანი ცვლილებით ნასამართლობა აღარ არის რა დანაშაულის არაერთგზისად დაკვალიფიცირების წინაპირობა, ნასამართლობის

ვადაში იგივე დანაშაულის ჩადენა ვეღარ ჩაითვლება დანაშაულთა არაერთგზისობად. შესაბამისად მეორე ნაწილის ხსენებული დანაწესი აზრს კარგავს.

სარეკომენდაციო ფორმულირება

„დანაშაული არაერთგზის ჩადენილად არ ჩაითვლება, თუ კანონით დადგენილი წესით პირი წინად ჩადენილი დანაშაულისათვის გათავისუფლებული იყო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან.“

დამნაშავის შეპყრობა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების და დამატებების შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტი არ ითვალისწინებს სსკ-ის 29-ე მუხლის ცვლილებას, მიუხედავად ამისა მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ მუხლში ცვლილების განხორციელება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 29 მუხლში განსაზღვრულია „დამნაშავის შეპყრობის“, როგორც მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი ერთ-ერთი გარემოების და მისი ფარგლების გადაცილების დეფინიცია.

შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების არსებობისას, პირი სამართალდამცავ ორგანოში წარდგენის მიზნით შეიძლება შეიპყროს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელმა (ბრალდებულის დაკავება), ასევე რიგითმა მოქალაქემ.

საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლი განსაზღვრავს უდანაშაულობის პრეზუმფციას, ამავე მუხლის პირველ პუნქტში ნათქვამია: „ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით.“

დოქტრინაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ „დამნაშავის შეპყრობა“ პირობითი ტერმინია და იგი არ გულისხმობს რეალურ დამნაშავეს. მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია სათანადო ცვლილებები განხორციელდეს ხსენებულ ნორმაში და ის იმდაგვარად ჩამოყალიბდეს, რომ გამორიცხოს დაკავებული პირის უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევა.

ამავე ლოგიკით, მსგავსი სახის ცვლილება უნდა შევიდეს სსკ-ის 114-ე და 123-ე მუხლებში.

სარეკომენდაციო ფორმულირება:

„მუხლი 29. ბრალდებულის ან დამნაშავეს შეპყრობა;

1. მართლსაწინააღმდეგოდ არ მოქმედებს ის, ვინც ხელისუფლების ორგანოში წარსადგენად შეიპყრობს ბრალდებულს ან დამნაშავეს საამისოდ აუცილებელი ზომის გადაუცილებლად.

2. ბრალდებულის შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ სავარაუდოთ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესთან და შეპყრობის გარემოებებთან.“

„მუხლი 114. მკვლელობა ბრალდებულის ან დამნაშავეს შეპყრობის აუცილებელი ზომების გადაცილებით;

მკვლელობა ბრალდებულის ან დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, –

ისჯება გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით სამ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.“

„მუხლი 123. ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ბრალდებულის ან დამნაშავეს შეპყრობის აუცილებელი ზომების გადაცილებით.

ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება ბრალდებულის ან დამნაშავეს შეპყრობისათვის აუცილებელი ზომის გადაცილებით, –

ისჯება ჯარიმით ან გამასწორებელი სამუშაოთი ვადით ექვს თვემდე ან თავისუფლების შეზღუდვით ვადით ერთ წლამდე ანდა თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.“

მართლზომიერი რისკი

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 31-ე მუხლის ცვლილებას.

მუხლის დღევანდელი რედაქცია პირს აკისრებს მოვალეობას მიიღოს ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად. ტერმინი „ყველა ზომა“ ძალიან ფართო ცნებაა და საჭიროებს დაკონკრეტებას. თუმცა მიგვაჩნია, რომ მისი დაკონკრეტება პროექტში მითითებული სახით არასწორია.

პროექტი ხსენებულ რეგულაციას გვთავაზობს შემდეგი სახით: „რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა საჭირო ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.“

სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად ფიზიკურად შეუძლებელია პირმა მიიღოს ყველა საჭირო ზომა. ვინაიდან ზიანის თავიდან ასაცილებელი საჭიროება შესაძლოა აღემატებოდეს პირის შესაძლებლობებს ან დროში გააჭიანურებს ქმედებას, რაც გამოიწვევს არასასურველი შედეგის დადგომას.

კონკრეტულ შემთხვევაში პირს, შესაძლებელია არ ჰქონდეს ყველა საჭირო ზომის მიღების შესაძლებლობა, თუმცა მან მიიღოს ყველა შესაძლო ზომა და ეს არ უნდა გამორიცხავდეს მართლზომიერი რისკის ფარგლებში მოქმედებას.

გამომდინარე აქედან მიზანშეწონილად მიგვაჩნია სსკ-ის 31-ე მუხლში დაზუსტდეს „ყველა ზომის“ ცნება, თუმცა არა ისე, როგორც ეს პროექტშია მითითებული, არამედ „ყველა საჭირო ზომის“ ნაცვლად გამოყენებულ იქნეს ტერმინი „ყველა შესაძლო ზომა“.

სარეკომენდაციო ფორმულირება

„რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა შესაძლო ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.“

ჯარიმა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის მე-42-ე მუხლის ცვლილებას. შემოღებულია ტერმინი „ჯარიმის დღიური ანაზღაურება“, რომლის მინიმალური ოდენობა შეადგენს 10 ლარს და ჯარიმის ქვედა ზღვარი 2000-დან 1000 ლარამდე შემცირებული. ასევე მნიშვნელოვანი ცვლილებაა ჯარიმის ზედა ზღვრის დადგენა, რასაც მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებდა და კანონშემფარდებელს უტოვებდა მოქმედების ფართო, ზოგ შემთხვევაში გადაჭარბებულ არეალს.

ცვლილების პროექტის მიხედვით, 42-ე მუხლის მე-8 ნაწილი ითვალისწინებს ჯარიმის განწილვადაცხას. სასამართლო ჯარიმას გაანაწილვადაცხას, თუ:

1. მსჯავრდებულს, მისი პირადი ან ქონებრივი მდგომარეობის გამო არ შეუძლია ჯარიმის ერთიანად გადახდა;
2. მსჯავრდებული, სხვაგვარად ვერ შეძლებს დანაშაულით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას.

პირველ შემთხვევაში, წარმოდგენილი ცვლილება მიმართულია სისხლის სამართლის პილიტიკის ლიბერალიზაციისკენ და ამსუბუქებს მსჯავრდებულის მდგომარეობას, რომელსაც არ აქვს ეკონომიკური შესაძლებლობა ერთიანად გადაიხადოს ჯარიმა. ამავდროულად მნიშვნელოვანია სათანადო ცვლილებების განხორციელება საპროცესო კანონმდებლობაში, რათა დადგინდეს თუ რა ეტაპზე ხდება მსჯავრდებულისთვის ჯარიმის განაწილვადება, შეუძლია თუ არა მსჯავრდებულს განაჩენის გამოტანის შემდეგ მიმართოს სასამართლოს ჯარიმის განაწილვადების თაობაზე, რა ვადაში და ა.შ.

მეორე შემთხვევა დაკავშირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლთან, რომელიც დაზარალებულს ანიჭებს უფლებას სამოქალაქო წესით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ჩვენთვის გასაგებია წარმოდგენილი ნორმის მიზანი, რაც მოიაზრებს დაზარალებული პირისათვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად მსჯავრდებულისათვის ეკონომიკური აქტივის შენარჩუნებას, თუმცა მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა თანამდევი ცვლილებების განხორციელება.

რეკომენდაცია

უფრო კონკრეტულად განისაზღვროს მსჯავრდებულისთვის ჯარიმის განაწილვადების ვადა და სათანადო ცვლილებების პროექტი მომზადდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 43-ე მუხლის ცვლილებას.

სისხლის სამართლის კოდექსის 43-ე მუხლი ეხება სასჯელის ერთ-ერთ სახეს, თანამდებობის დაკავების და საქმიანობის უფლების ჩამორთმევას.

წარმოდგენილი პროექტის 43-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად:

„მოსამართლე თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევას დამატებით სასჯელად დანიშნავს, თუ მიიჩნევს, რომ მისთვის თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების შენარჩუნება ზიანს მოუტანს საზოგადოების, სახელმწიფოს ან სხვა პირის კანონიერ ინტერესს.“

სისხლის სამართლის კოდექსის დღევანდელი რედაქცია იმპერატიულად განსაზღვრავს სასჯელის მიზნებს. სასჯელის გამოყენება ემსახურება სამართლიანობის აღდგენას, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას. სასჯელი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის ფორმაა და ის სახელმწიფოს საპასუხო რეაქციაა პირის მიერ დანაშაულებრივ ქმედებაზე.

სამართლიანობის აღდგენა გულისხმობს ჩადენილი დანაშაულისათვის შესაბამისი სასჯელის დანიშნვას, რომელიც არ დატოვებს უსამართლობის განცდას დამნაშავის, დაზარალებულისა და საზოგადოების თვალში. სასჯელის პრევენციული მიზნები მიმართულია მომავლისკენ და გულისხმობს პირის საზოგადოებისგან იზოლაციით, ასევე სასჯელის სიმკაცრის და რეალურობის შიშით პირის მიერ დანაშაულის ჩადენის თავიდან აცილებას. მესამე მიზანი - დამნაშავის რესოციალიზაცია - მხოლოდ კონკრეტულ დამნაშავეზეა ორიენტირებული და მის გამოსწორებას, პოზიტიური პასუხისმგებლობის გრძნობის გაღვივებას ისახავს მიზნად.

მიგვაჩნია, რომ სასჯელი უნდა ემსახურობდეს მხოლოდ ამ სამი მიზნის რეალიზებას და მისი მიზნების გაფართოვება (რაც ასევე იწვევს პირის უფლებებსა და თავისუფლებებში ჩარევას) საზოგადოების, სახელმწიფოს და სხვა პირის კანონიერი ინტერესის ზიანის მიყენებისგან დაცვის მოტივით ამ შემთხვევაში დაუშვებელია.

რეკომენდაცია

43-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს იმდაგვარად, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდეს ზემოხსენებულ მსჯელობასთან.

სასჯელის ვადის გამოანგარიშება და სასჯელის ჩათვლა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 62-ე მუხლის ცვლილებას.

პროექტის თანახმად კოდექსს ემატება 62-ე მუხლის მე-4 ნაწილი, რაც გულისხმობს დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე ფსიქიკურად დაავადებული პირის

სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში ყოფნის დროის სასჯელის ვადაში ჩათვლის გაანგარიშების წესის შემოღებას.

ამავე პროექტის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის ცვლილებით პირის დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე ფსიქიკურად დაავადების შემთხვევა მიიჩნევა შეურაცხადობის ერთ-ერთ სახედ და პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებად.

ნახსენები ორი მუხლი ურთიერთსაწინააღმდეგოა, რადგანაც 34 მუხლის მე-2 ნაწილის წარმოდგენილი რედაქციით თუ პირის დანაშაულის ჩადენიდან განაჩენის გამოტანამდე ფსიქიკურად დაავადება მისი პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უპირობო საფუძველია, შეუძლებელია სამკურნალო/სამედიცინო დაწესებულებაში ყოფნის ვადა სასჯელად ჩათვალოს.

ზემოთ მოყვანილი მსჯელობიდან გამომდინარე აზრს მოკლებულია 62-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოცემული შინაარსით დამატების განხორციელება ან მასთან შესაბამისობაშია მოსაყვანი 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის წარმოდგენილი რედაქცია.

რეკომენდაცია

არ განხორციელდეს მე-4 ნაწილის დამატება კოდექსის 62-ე მუხლში ან მასთან შესაბამისობაში იქნას მოყვანილი კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილის წარმოდგენილი რედაქცია.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დაზარალებულთან შერიგების და ზიანის ანაზღაურების გამო

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 69-ე მუხლის ცვლილებას.

ნახსენები მუხლის რედაქცია ითვალისწინებს პირის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველს, თუ ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას.

ნორმის მოცემული ფორმულირება შესაძლებელია გახდეს ორგვარი განმარტების საფუძველი და კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს პირის პასუხისმგებლობიდან გათავისუფლება თუ დანაშაული საერთოდ არ ითვალისწინებს სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთას. შესაბამისად ნორმის განჭვრეტადობისათვის უკეთესი იქნება, თუ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებისთვის ამ მუხლით გათვალისწინებული პირობები დაზუსტდება.

სარეკომენდაციო ფორმულირება

„თუ ნასამართლობის არმქონე პირმა ჩაიდინა დანაშაული, რომლისთვის გათვალისწინებული სასჯელი არ აღემატება სამი წლით თავისუფლების აღკვეთას ან/და ითვალისწინებს სხვა სახის სასჯელს, შეიძლება გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ შეურიგდა დაზარალებულს და აანაზღაურა ამ დანაშაულის შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.“

განზრახ მკველობა დამამძიმებელ გარემოებაში

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 109-ე მუხლის ცვლილებას, რაც მკვლელობის მაკვალიფიცირებელ გარემოებად გამოყოფს დისკრიმინაციის ნიშნით მოტივირებულ მკვლელობას.

მიგვაჩნია, რომ ხსენებული მუხლის „ო“ ქვეპუნქტში ჩამოთვლილი დისკრიმინაციის ნიშნები უნდა დაზუსტდეს და ან ჩამონათვალი წარმოდგენილი იყოს გახსნილი სახით (ფორმულირებით „... და სხვა“) ან ჩამონათვალს მინიმუმ დაემატოს და მკვლელობის მაკვალიფიცირებელ ნიშნად განისაზღვროს, პირის მკვლელობა შეზღუდული შესაძლებლობების ქონის გამო.

მსგავსი სახის ხარვეზები გვხვდება პროექტით 142-ე და 142¹-ე მუხლებში გათვალისწინებულ ცვლილებათა რედაქციაშიც. ზემოთ მოყვანილი დასაბუთების საფუძველზე ეს მუხლებიც ანალოგიურად უნდა შესწორდეს.

სარეკომენდაციო ფორმულირება

„რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, მოქალაქეობის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, აღმსარებლობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური, სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების ან დისკრიმინაციის სხვა ნიშნის გამო.“

გარყვნილი ქმედება

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 141-ე მუხლის ცვლილებას.

ხსენებული მუხლი დასჯადად აცხადებს თექვსმეტ წლის ასაკს მიუღწეველთან სრულწლოვანის მიერ ძალადობის გარეშე გარყვნილი ქმედების ჩადენას.

ამავე კოდექსის 140-ე მუხლის წარმოდგენილი რედაქციით დასჯადია თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება.

შესაბამისად ბუნდოვანია რა შეიძლება ჩაითვალოს გარყვნილ ქმედებად და რა განსხვავებაა მასსა და სექსუალური ხასიათის სხვაგვარ მოქმედებას შორის.

რეკომენდაცია

დაზუსტდეს გარყვნილი ქმედების დეფინიცია და სისხლის სამართლის კოდექსის ნორმა გახდეს უფრო განჭვრეტადი.

ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევისაკენ საქვეყნოდ მოწოდება

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 142¹ მუხლის ცვლილებას. ცვლილება აუქმებს რასობრივი დისკრიმინაციის დასჯადობას და მის ნაცვლად პასუხისმგებლობას აწესებს თანასწორუფლებიანობის დარღვევისაკენ საქვეყნოდ მოწოდებისათვის.

კონსტიტუციის 24-ე მუხლის პირველი პუნქტით დაცულია ინფორმაციის თავისუფლება, მისი თავისუფალი გავრცელება და მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან, ინფორმაციის მატარებლებიდან, რომლებიც გამოსადეგია ინფორმაციის მოპოვებისა და გავრცელებისათვის. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, „თავისუფალი ინფორმაციის გარეშე შეუძლებელია თავისუფალი აზრის ჩამოყალიბება. ეს არის ნორმა, რომელიც კრძალავს საზოგადოებისათვის, ადამიანის გონებისათვის „ინფორმაციული ფილტრის“ დაყენებას, რაც დამახასიათებელია არადემოკრატიული რეჟიმებისათვის.“ „კონსტიტუციის 24-ე მუხლი იცავს ადამიანის უფლებას, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს საკუთარი აზრი, საგანგებოდ იცავს აზრისა და

ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებით გავრცელების შესაძლებლობას, ...მათ შორის არის პრესა, ტელევიზია, ინფორმაციის და აზრის გავრცელების სხვა საშუალებები.“

აღნიშნული უფლების დაცვის სფერო, როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, მოიცავს „...არა მხოლოდ იმ „ინფორმაციას“ ან „იდებებს“, რომელთაც იზიარებს საზოგადოება ან არ არის შეურაცხმყოფელი, ან მისდამი ინდიფერენტული დამოკიდებულებაა, არამედ ასევე ისეთს, რომელიც შეურაცხყოფს, შოკის მომგვრელია და აწუხებს სახელმწიფოს ან საზოგადოების ნებისმიერ ჯგუფს.“

142¹ მუხლის წარმოდგენილი რედაქცია ფაქტობრივად ახდენს სიძულვილის ენის კრიმინალიზაციას, რაც წინააღმდეგობაში მოდის კონსტიტუციით დადგენილ გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებთან. შესაბამისად მიუღებელად მიგვაჩნია საქართველოში სიძულვილის ენის ნებისმიერი სახით კრიმინალიზაცია.

რეკომენდაცია

არ უნდა მოხდეს ადამიანის თასაწორუფლებიანობის დარღვევისკენ საქვეყნოდ მოწოდების კრიმინალიზაცია. ძალაში დარჩეს მოქმედი მუხლის რედაქცია, რომლითაც დასჯადია რასობრივი დისკრიმინაცია.

მუხლი 160. ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევა

სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე წარმოდგენილი დოკუმენტი ითვალისწინებს სსკ-ის 160-ე მუხლის ცვლილებას.

ხსენებული მუხლი აწესებს ბინის ან სხვა მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის დასჯადობას მასში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლის შემთხვევაში.

მიგვაჩნია, რომ ტერმინი „მფლობელობა“ უნდა შეიცვალოს და ჩანაცვლდეს სხვა უფრო გამოსადეგი დეფინიციით, ვინაიდან „მფლობელობა“ ნიშნავს პირის სამართლებრივ დამოკიდებულებას საკუთრების მიმართ. შესაბამისად ფიზიკურად შეუძლებელია ქონებასთან დაკავშირებული სამართლებრივი დამოკიდებულების ხელშეუხებლობის დარღვევა, მასში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ შესვლით.

სარეკომენდაციო ფორმულირება

„ბინაში ან სხვა უძრავ ნივთში მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ უკანონოდ შესვლა ან სხვა უკანონო ქმედება, რომელიც არღვევს ბინის ან სხვა უძრავი ნივთის ხელშეუხებლობას.“